პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 სამშაბათი 7 ივნისი № 132 (16872) ფასი 2 კაპ. 1977

გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა ყურადღებას

დაიწყო საყოველთაო-სახალხო განხილვა სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტისა, რომელშიც აისახება რევოლუციის ძირითადი მონაპოვარი, ახალი საზოგადოების მშენებლობის პროცესში ჩვენს მიერ გამოვლილი გზა, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების, მისი პოლიტიკური ორგანიზაციის ძირითადი თვისებები, სახელმწიფოს როლი საზოგადოების სულიერ ცხოვრებაში, სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება.

„კომუნისტის“ რედაქცია თხოვს თავის მკითხველებს — მუშებს, კოლმეურნეებს, საწარმოთა და კოლმეურნეობათა სპეციალისტებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ მუშაკებს — საბჭოთა საქართველოს ყველა მშრომელს მონაწილეობა მიიღონ სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვაში.

მოგვწერეთ მისამართით: თბილისი-96, ლენინის ქ. № 14, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქცია. გთხოვთ კონვერტზე წაწეროთ „სსრ კავშირის კონსტიტუციის პროექტის განხილვისათვის“.

ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნება უაღრესად დიდმნიშვნელოვანი მოვლენა საბჭოთა ხალხის ისტორიაში. ეს აქტი მით უფრო დიდმნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავია, რომ იგი მოხდა ჩვენი ხალხის ცხოვრების ახალი მე-60 წლისთავის იუბილის წელს.

ძირითადი კანონის პროექტი უდიდესი მუშაობის, ახლანდელი კონსტიტუციის მიღების შემდეგ 40 წლის მანძილზე საბჭოთა საზოგადოებაში მომხდარი ღრმა ცვლილებების, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საკონსტიტუციო გამოცდილების ანალიზისა და განზოგადების შედეგია. ხალხი შემუშავება ხორციელდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, მისი პოლიტბიუროს, ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის უშუალო ხელმძღვანელობითა და აქტიური მონაწილეობით.

ახალი კონსტიტუციის საჭიროება, მისი უდიდესი მნიშვნელობა, მისი ძირითადი ნიშნები, რომლებიც გამოხატავს საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ მონაპოვრებს, რაც პარტიის ხელმძღვანელობით არის მიღწეული, ღრმად და ყოველმხრივ აისახა ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე. ეს მოხსენება უდიდესი პოლიტიკური და იდეურ-თეორიული დოკუმენტია.

ჩვენი სოციალისტური სამშობლო მხოლოდ 60 წლისაა, მაგრამ ამ წლების მანძილზე განვლეთ საუკუნეების ტოლი გზა. აშენდა განვითარებული სოციალიზმი, მიღწეულია სოციალური პროგრესის დღეისათვის უმაღლესი საფეხური.

„ჩვენ შეკვეთნთ ახალი საზოგადოება, საზოგადოება, რომლის მსგავსიც კაცობრობას არ ახსოვს, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXV ყრილობაზე. — ეს არის უკრძესი, მუდამ მზარდი ეკონომიკის, მომწიფებული სოციალისტური ურთიერთობის, ნამდვილი თავისუფლების საზოგადოება. ეს არის საზოგადოება, სადაც გამაკონებულია მეცნიერული მატერიალისტური მსოფლმხედველობა. ეს არის მომავლის მტკიცე რწმენის, ნათელი კომუნისტური პერსპექტივების საზოგადოება. მის წინაშე გადაშლილია შემდგომი ყოველმხრივი პროგრესის ხიერცეები“.

და სწორედ განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ფაქტია აღბეჭდილი ახლა ჩვენი ახალი კონსტიტუციის პროექტში. მასში მოცემულია მომწიფებული სოციალიზმის, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების, მისი სოციალური განვითარებისა და კულტურის, მისი საგარეო პოლიტიკის მთლიანი სურათი. ნაჩვენებია საყოველთაო-სახალხო სოციალისტური დემოკრატიის უდიდესი მონაპოვრები, მოქალაქეთა ფართო უფლებები და თავისუფლებები, აგრეთვე მათი მოვალეობანი, საბჭოთა კავშირის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წყობილება, ხელისუფლებისა და მართვის ორგანოების სისტემა, სხვა დიდმნიშვნელოვანი პრინციპები, რომლებიც მთლიანად შეადგენს სწორედ ჩვენი საბჭოთა სახელმწიფოს ძირითად კანონს.

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კავშირი, — ნათქვამია პროექტის პირველ მუხლში, — არის სოციალისტური საერთო-სახალხო სახელმწიფო, რომელიც მუშათა კლასის, გლეხობისა და ინტელიგენციის, ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ნებასა და ინტერესებს გამოხატავს“. სსრ კავშირში მთელი ძალაუფლება ხალხს ეკუთვნის, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას სახალხო დეპუტატების საბჭოების ცენტრში და ადგილებზე არჩეულთა ორგანოების მეშვეობით.

პროექტი შეიცავს მუხლს იმის შესახებ, *რომ საბჭოთა სახელმწიფოს* საბჭოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალა, მისი პოლიტიკური სისტემის, ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბირთვია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია არსებობს ხალხისათვის და ემსახურება ხალხს.

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნისტური პარტია განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების გენერალურ პერსპექტივას, საშინაო და საგარეო პოლიტიკის გზს, ხელმძღვანელობს საბჭოთა ხალხის დიად აღმშენებლობითს საქმიანობას, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს ანიჭებს მის ბრძოლას კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

საბჭოეთის ეკონომიკური სისტემის საფუძველია წარმოების სოციალისტური საკუთრება, რომელიც მოიცავს: სახელმწიფო (საყოველთაო-სახალხო) საკუთრებას; კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული ორგანიზაციების (საკოლმეურნეო-კოოპერაციულ) საკუთრებას; პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საკუთრებას. თავისუფალი შრომა საზოგადოებრივი დოვლათის ზრდის, ხალხისა და თითოეული საბჭოთა ადამიანის კეთილდღეობის გაუმჯობესების წყაროა.

საბჭოთა კავშირის ეკონომიკა, აღნიშნულია პროექტში, შეადგენს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსს, თანაც ისეთს, სადაც იგი სახელმწიფო ხელმძღვანელობას ახორციელებს სახელმწიფო გეგმების საფუძველზე, როცა ცენტრალიზებული ხელმძღვანელობა შეთავსებულია საწარმოების, გაერთიანებებისა და სხვა ორგანიზაციების სამეურნეო დამოუკიდებლობასა და ინიციატივასთან.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ კაპიტალისტური წარმოებისაგან განსხვავებით, რომლის მთავარი მიზანია კაპიტალისტის მოგება, „სოციალიზმის დროს, — ნათქვამია პროექტში, — საზოგადოებრივი წარმოების უზენესი მიზანია ყველაზე სრულად დაკმაყოფილოს ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი“. ამასთან სახელმწიფო ეყრდნობა მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, უზრუნველყოფს წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას, სახალხო მეურნეობის დინამიკურ და პროპორციულ განვითარებას. აქტიურად გამოიყენება სამეურნეო ანგარიში, მოგება, თვითღირებულება.

ახალი კონსტიტუციის პროექტი მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით ახალ თავებს შეიცავს. მათ შორის არის თავი „სოციალური განვითარება და კულტურა“, სადაც ნათქვამია, რომ სახელმწიფო ხელს უწყობს საზოგადოების სოციალური ერთგვაროვნების გაძლიერებას, პიროვნების ჰარმონიული განვითარების პირობების შექმნას, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, შრომისა და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას; იგი ახორციელებს შრომის ანაზღაურების, მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდების კურსს შრომის ნაყოფიერების ზრდის შესაბამისად. თავი „საგარეო პოლიტიკა“ აცხადებს, რომ საბჭოთა სახელმწიფო თანამდევრულად ახორციელებს მშვიდობის ლენინურ პოლიტიკას, იღვწის ხალხთა უშიშროების განმტკიცებისა და ფართო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის. თავი „სოციალისტური საშინაო პოლიტიკა“ აღნიშნავს, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს სოციალისტური მონაპოვრების, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის, სსრ კავშირის ხუთერენიტორია და ტერიტორიული მთლიანობის დაცვას; ამ მიზნით შექმნილია შეიარაღებული ძალები და დაწესებულია ხაყოველთაო სამხედრო ვალდებულება.

ამ ახლის მთავარი მიმართულება, *რომელსაც პროექტი* შეიცავს, სოციალისტური დემოკრატიის გაფართოება და გაღრმავებაა.

უწინარეს ყოვლისა კიდევ უფრო ვითარდება საბჭოების ფორმირებისა და მუშაობის დემოკრატიული პრინციპები, გათვალისწინებულია მათი როლის გაძლიერება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს საკითხთა გადაწყვეტაში. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო უფლებამოსილია გადაწყვიტოს ყველა საკითხი, რომლებიც ამ კონსტიტუციით სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება. ადგილობრივი საბჭოები წყვეტენ არა მარტო ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა საკითხს, არამედ თავიანთი უფლებების ფარგლებში კონტროლს უწევენ და წარმართავენ სხვა ორგანოებიანის მუშაობას თავიანთ ტერიტორიაზე. საბჭოები და მათი დეპუტატები მოვალენი არიან რეგულარულად გააცნონ ხალხს მოქალაქეებს გაწეული მუშაობა, ანგარიში ჩაბარონ ამომრჩევლებს.

შეტანილია ცვლილებანი საარჩევნო სისტემაშიც: თუ ახლა მოქმედი კონსტიტუციით სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში შეიძლებოდა არჩეული ყოფილიყვნენ 23 წელს მიღწეული პირები, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს საბჭოებში — 21 წელს მიღწეული პირები, ახალი ძირითადი კანონის პროექტი ითვალისწინებს ეს უფლება მიანიჭოს ყველა საბჭოთა მოქალაქეს 18 წლის ასაკიდან. ეს სიახლე ნათლად ადასტურებს საზოგადოების ზრუნვას ახალგაზრდა თაობისათვის, ნდობას ახალგაზრდობისადმი.

პროექტი ასახავს პროფკავშირთა, კომკავშირისა და სხვა მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების გაზრდილ როლს. მათ ენიჭებათ საკანონმდებლო ინიციატივის, პოლიტიკური, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის უფლება. სპეციალურად აღნიშნულია მშრომელთა კოლექტივების როლი, რაც ნიშნავს ახალ ნაბიჯს წარმოების მართვაში დემოკრატიული საწყისების განვითარებისათვის პარტიის გეზის განხორციელების გზაზე. „მშრომელთა კოლექტივები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, — ნათქვამია მე-16 მუხლში, — მონაწილეობენ საწარმოებისა და გაერთიანებების მართვაში, შრომისა და ყოფა-ცხოვრების ორგანიზაციის, იმ საბსრების გამოყენების საკითხთა გადაწყვეტაში, რომლებიც განკუთვნილია წარმოების განვითარებისათვის, აგრეთვე სოციალურ-კულტურული საჭიროებებისა და მატერიალური წახალისებისათვის“.

მნიშვნელოვნად განვითარებული და დახვეწილია დებულება საბჭოთა მოქალაქეების უფლებების შესახებ. სპეციალურ თავში „სსრ კავშირის მოქალაქეობა. მოქალაქეთა თანასწორუფლებიანობა“ ნაჩვენებია ყველა ეროვნებისა და ერის ადამიანების თანასწორობის ზოგადი პრინციპი კანონის წინაშე მათ შორის რაიმე განსხვავების მიუხედავად — სქესის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების მიუხედავად და სხვ.

პროექტი შეიცავს უფლებათა ფართო ხაექტრს, რომლებიც ეხება თითოეულის ცხოვრების საფუძველს, — ეს არის შრომის, დასვენების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, განათლების, კულტურის მიღწევების გამოყენების, მეცნიერული, ტექნიკური და მხატვრული შემოქმედების თავისუფლების უფლებები და სხვ. ამასთან მოქალაქეთა უფლებებიან შინაარსი უფრო გაღრმავდა, ხოლო ის მატერიალური გარანტიები, რომლებიც მათ განამტკიცებენ, — უფრო სრული, უფრო საფუძვლიანი გახდა. მაგალითად, შრომის უფლებას, რომელსაც ახლანდელი კონსტიტუცია შეიცავს, დაემატა უფლება „აირჩიონ პროფესია, საქმიანობისა და საშუშაოს სახეობა მოწოდების, უნარის, პროფესიული მომზადების, განათლების შესაბამისად და საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა გათვალისწინებით“.

პროექტში არა მარტო შენარჩუნებული, არამედ მნიშვნელოვნად უფრო სრულად არის ჩამოყალიბებული საბჭოთა ადამიანის პოლიტიკური უფლებები და თავისუფლებები: სიტყვის, პრესის, კრებების, მიტინგების, ქუჩაში მსვლელობისა და დემონსტრაციების თავისუფლებები. გამოცხადებულია ხალხმეწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში მონაწილეობის უფლება, აღნიშნულია ამ მონაწილეობის ფორმები. ძირითადი კანონის პროექტი განსაზღვრავს, რომ მოქალაქეებს უფლება აქვთ წინადადებები შეიტანონ ხალხმეწიფო და საზოგადოებრივ ორგანოებში მათი საქმიანობის გაუმჯობესების შესახებ, გააკრიტიკონ მათ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, გაასაჩივრონ სახამართლოში თანამდებობის პირთა მოქმედება, ავრეთვე შეიცავს ხიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ქონებისა და პირადი თავისუფლების, პატიოსნებისა და ღირსების ხელყოფისაგან სახამართლო დაცვის უფლებას. დეკნა კრიტიკისათვის აკრძალულია.

„რათქმა უნდა, ამხანაგებო, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, — კონსტიტუციის პროექტი ითვალისწინებს, რომ მოქალაქეთა უფლებები და თავისუფლებები არ შეიძლება და არ უნდა იქნეს გამოყენებული ჩვენი საბჭოთა ორგანიზაციების წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხის ინტერესების საწინააღმდეგ.

უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელება განუყოფელია ამისაგან, შეასრულებს თუ არ შეასრულებს მოქალაქე თავის მოვალეობებს. სსრ კავშირის მოქალაქე მოვალეა კეთილსინდისიერად შრომობდეს, უფრთხილდებოდეს და განამტკიცებდეს სოციალისტურ საკუთრებას, იცავდეს სოციალისტურ სამშობლოს, განამტკიცებდეს ერებისა და ეროვნებების მეგობრობას, ზრუნავდეს ბავშვთა აღზრდისათვის, შეურიგებელად ეკიდებოდეს ანტისაზოგადოებრივ საქციელს. იგი უნდა იცავდეს საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესებს, ხელს უწყობდეს მისი ძლიერებისა და ავტორიტეტის განმტკიცებას. მისი ინტერნაციონალური ვალია ხელი შეუწყოს სხვა ქვეყნების ხალხებთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებას, საყოველთაო შვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

პროექტის კარი „მართლმსაჯულება, არბიტრაჟი და ხაპროკურორო ზედამხედველობა“ ყოველმხრივ აშუქებს საბჭოთა მართლმსაჯულების ღრმა დემოკრატიულ ბუნებას, რომელიც, ერთი მხრივ, ხელს უწყობს ხოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის შემდგომ განმტკიცებას, ხოლო მეორე მხრივ, სსრ კავშირის მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების რაც შეიძლება სრულ განხორციელებას, მათი თანასწორობის დაცვის კანონისა და სახამართლოს წინაშე.

პროექტში დიდი ადგილი უკავია სსრ კავშირის ხალხმეწიფო-სახალრთლებრივი წყობილების საკითხებს. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, — ნათქვამია 69-ე მუხლში, — ერთიანი საკავშირო მრავალეროვანი სახელმწიფოა, რომელიც ერების თავისუფალი თვითგამორკვევისა და თანასწორუფლებიანი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების ნებაყოფლობითი გაერთიანებას შეადგენდ შეიქმნა“. ამ, ავრეთვე ზოგიერთ სხვა მუხლში ახასა საერთო-საკავშირო საწყისების შემდგომი განმტკიცება, რომელიც აუცილებლობით გამომდინარეობს სსრ კავშირის ერებისა და ეროვნებების სულ უფრო მზარდი დაახლოებიდან.

პროექტი, ისევე როგორც მოქმედი კონსტიტუცია, შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ მოკავშირე რესპუბლიკების ხუთერენულ უფლებებს იცავს და გარანტიას აძლევს სსრ კავშირი. რესპუბლიკებს ამასთან ეძლევათ უფლება მონაწილეობა მიიღონ იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც სსრ კავშირის გამგებლობას განეკუთვნება.

„საერთოდ, — აღნიშნა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე, — ეროვნულ-სახელმწიფო წყობილების საკითხების გადაწყვეტა პროექტში უზრუნველყოფს მრავალეროვანი კავშირის საერთო ინტერესებისა და მისი წარმომქმნელი თითოეული რესპუბლიკის ინტერესების ნამდვილ დემოკრატიულ შეხამებას, უზრუნველყოფს ჩვენი ქვეყნის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ აყვავებასა და განუხრელ დაახლოებას“.

კონსტიტუციის პროექტში განსაზღვრულია საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის, მოკავშირე საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის, ავტონომიური ოლქისა და ავტონომიური ოკრუგის, ყველა დონის სახალხო დეპუტატთა საბჭოების კომპეტენცია და მათი არჩევის წესი, სახალხო დეპუტატის უფლება-მოვალეობანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს უფლებამოსილებანი.

ახალი კონსტიტუციის პროექტმა, ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმზე საბჭოთა ადამიანების უდიდესი ინტერესი გამოიწვიეს და პროპაგანდის საშუალებებში. მათ ფართოდ უნდა გააშუქონ ძირითადი კანონის პროექტის განხილვა, „მწვანე ქუჩა“ გაუხსნან თავიანთი მკითხველების, მსმენელების, მაყურებლების წერილებს, წინადადებებს, შენიშვნებსა და გამოსვლებს.

კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვა აჭნება მსოფლიოში პირველი სოციალისტური ქვეყნის მოწყვეულის შთამბეჭდავი დათვალიერება, საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის დიდი ზეიმი, პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო ჩვენი ხალხის ურღვევი, ხულ უფრო მტკიცე შეკავშირების ახალი დადასტურება.

მშობლიური პარტიის ხელმძღვანელობით საბჭოთა ხალხი მტკიცედ მიდის წინ ნათელი კომუნისტური მომავლისაკენ!

ПРАВДА 6 ივნისის მოწინავე

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხები

გაზეთ „ასაჰის“ მთავარი რედაქტორის ს. ჰატას კითხვებზე

კითხვა: ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ 60 წელმა განვლო. ნება მიბოძეთ, ამასთან დაკავშირებით გკითხოთ, როგორ აფასებთ ამ ხნის მანძილზე მიღწეულ წარმატებებს, აგრეთვე როგორია თქვენი ქვეყნის განვითარების შემდგომი პერსპექტივები, კერძოდ, როგორია თქვენი აზრი კაპიტალიზმის სისტემასთან შეჯიბრების შესახებ?

პასუხი: განული 60 წლის მანძილზე საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით განვლო გზა, რომლითაც სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ. ერთი თაობის სიცოცხლის მანძილზე ბოლო მოეფინა საუკუნეობრივ ჩამორჩენილობას. ჩვენმა ქვეყანამ ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების მიღალ დონეს მიაღწია. თუ რევოლუციამდელი რუსეთის წილად მსოფლიო სამრეწველო პროდუქციის 4 პროცენტზე ცოტა მეტი მოდიოდა, დღეს საბჭოთა კავშირი ამ პროდუქციის მეხუთიდს აწარმოებს.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ახალი საზოგადოების აშენება და ისტორიაში ჯერ გაუკვალავი გზებით მივდიოდით. გასაგებია, რა სიძნელეებს გადავაწყდებოდით, მაგრამ დღეს ჩვენს ქვეყანაში შექმნილა განვითარებული, მომწიფებული სოციალისტური საზოგადოება. რას ვგულისხმობთ ამაში? უწინარეს ყოვლისა იმას, რომ საბჭოთა კავშირმა დიდი ხანია და სამუდამოდ აღმოიფხვრა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, იმას, რომ ყველა მისი მოქალაქისათვის გარანტირებულია ნამდვილი თავისუფლება და რეალური დემოკრატია, იმას, რომ ეს საზოგადოება მომავლისაკენ მიაბიჯებს და მტკიცედ კვალავს ამ გზას.

ვფიქრობ, საჭირო არ არის მოვიყვანო კონკრეტული მონაცემები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განუხრელ განვითარებას ადასტურებს. ეს მონაცემები გამოქვეყნებულია პრესაში. მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ჩვენი პარტიის უმაღლესი მიზანია ეკონომიკის მუდმივი აღმავლობა, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული დონის ამაღლება. და ეს მიზანი პრაქტიკულად ხორციელდება.

ჩვენ ყველა საფუძველი გვაქვს ოპტიმისტურად შევეყურებდეთ მომავალს. თქვენ ალბათ მოგეხსენებათ, რომ ახალი მიჯნები დასახა სკკპ XXV ყრილობამ. მოვიყვან მხოლოდ ერთ მაჩვენებელს. მეათე ხუთწლედის დავალებათა შესრულება, და ისინი რომ შესრულდება, ამაში ეჭვი არ გვეპარება, საშუალებას მოგვცემს 1980 წლისათვის ქვეყნის ინდუსტრიული პოტენციალი 1970 წელთან შედარებით გავაორკეცოთ.

რამდენიმე დღის წინათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ძირითადად მოიწონა საბჭოთა კავშირის ახალი კონსტიტუციის პროექტი. იგი გამოტანილია საყოველთაო-სახალხო განხილვისათვის. ვფიქრობთ, რომ ახალი კონსტიტუციის მიღება არაოთუ დიდი მოვლენა თქნება ჩვენი ქვეყნისათვის, არამედ მას *ფართოა საერთაშორისო* გამოხმაურებაც მოჰყვება.

საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელი სამოცი წლის მანძილზე ჩვენი საგარეო-პოლიტიკური კურსის მიზანია ჩვენი ქვეყნის, ყველა ხალხის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფა. თავიდან აიცილოთ ომის საფრთხე, შეეკავოთ გამაღლებული შეიარაღება, გავაღრმაოთ და გავაფართოოთ თანამშრომლობა, რომელიც საგანგებლობას მოუტანს ყველა სახელმწიფოს, — აი, ასევე როგორც უწინ, რას ისახავს დღეს მიზნად საბჭოთა კავშირის ინიციატივები საერთაშორისო სარბიელზე. ჩვენ განზრახული ვგავქვს კვლავაც განვაგრძოთ დაძაბულობის შენელების პოლიტიკა და ვეცადოთ, რომ იგი დედამიწის ყველა რაიონში გავრცელდეს. ვფიქრობ, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ჩვენი საგარეო პოლიტიკის დინამიზმს, ძის რეალისტურობასა და აწონდაწონილობას, იმას, რომ ჩვენ მზად ვართ ახგარიში გავუწიოთ სხვათა კანონიერ ინტერესებს, მთელ მსოფლიოში ცხონენ, გარდა, რა თქმა უნდა, იმ წრეებისა, რომლებიც განზრახ, ბოროტი მიზნით ამახინჯებენ ამ პოლიტიკას და ატეხენენ საზოგადოებრიობას.

ახლა თქვენი შეკითხვის იმ ნაწილზე ვიტყვი, რომელიც ორი სისტემის შეჯიბრებას ეხება. უწინარეს ყოველისა მოგახსენებთ, რომ ლენინის დროიდან ჩვენ თანმიმდევრულად ვადგავართ სხვა სოციალისტური სისტემის სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის, არა იარაღის ენით, არამედ მოლაპარაკების მაგიდასთან სადავო საკითხების გადაწყვეტის გზზ. რაც შეეხება იმ საკითხს, თუ რომელს ეკუთვნის მომავალი, ჩვენ მტკიცედ გვწამს სოციალისტური წყობილების უპირატესობანი.

კითხვა: მე მინდა ეს კითხვა მოგაცეთ მსოფლიოში იმ ერთადერთი ხალხის სახელით, რომელიც ატომური იარაღის მსხვერპლი გახდა. როგორია ატომური განიარაღების და სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ მოლაპარაკების შემდგომი პერსპექტივები?

პასუხი: საბჭოთა კავშირს ახსოვს ხიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგედია, როცა კაცობრიობამ პირველად შეიტყო, თუ რა არის ატომური იარაღი. ჩვენ ვიზიარებთ იაპონელი ხალხის გრძნობებს პირველი ატომური დაბომბვის ამაო მსხვერპლის გამო.

დღეს ამ იარაღის სიმძლავრე მრავალჯერ გაიზარდა და ყველა ერთხმად ამბობს, რომ გამალებული ატომური შეიარაღება საფრთხეს უქმნის ჩვენი პლანეტის მშვიდობასა და უშიშროებას, თითქოსდა, ყველა სახელმწიფომ უნდა იღონოს რამე ამისათვის, რომ არ დაუშვას ატომური იარაღის შემდგომი გავრცელება, აიკრძალოს მასი

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ლ. ი. ბრეჟნევმა მიიღო ფამ ვან დონგი

6 ივნისს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა კრემლში მიიღო ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფამ ვან დონგი.

ლ. ი. ბრეჟნევმა და ფამ ვან დონგმა ერთმანეთს გაუზიარეს ინფორმაცია სკკპ XXV ყრილობისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის IV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ. განიხილეს ორი ქვეყნის თანამშრომლობის საკითხები. ერთმანეთს აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ვიეტნამის კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალისტური პოლიტიკა გადაჭრით უწყობს ხელს საბჭოთა და ვიეტნამელი ხალხების მეგობრობის განმტკიცებას.

ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი ყოველთვის დაუჭერს მხარს ვიეტნამელ ხალხს სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში. მან ხაზი გაუსვა, რომ საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ სოციალისტური ვიეტნამის წვლილს მშვიდობისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის.

ფამ ვან დონგმა განაცხადა, რომ საბჭოთა ხალხის უდიდესი წარმატებები, რომლებთაც ხედება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავს, ყველა ვიეტნამელ მშრომელს ახარებს. სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღება შთამაგონებელ სტიმულს მისცემს ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის.

საუბარში შეეხნენ ორიენ მხარისათვის საინტერესო ზოგიერთ საერთაშორისო პრობლემას. აღინიშნა საერთაშორისო ურთიერთობაზე დაძაბულობის შენელების პოლიტიკის პოზიტიური ზემოქმედება.

საუბარი გულითადობისა და ძმური მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა.

საუბარში მონაწილეობდ ნ ე: საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. უ. ჩერნენკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ეროვნული მდივანი თანამშრ ა. ი. ბლატოვი; ვიეტნამის მხრივ — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში ნგუენ ჰიუ ქხიეუ.

ხურაოზე: საუბრის დროს. ბაკლეხი-ბაკინფორმის ტელეფოტო.

საუბარი კრემლში

6 ივნისს კრემლში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი შეხვდა ვიეტნამის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის პრემიერ მინისტრს ფამ ვან დონგს. საუბრის დროს, რომელიც გულთბილ, ამხანაგურ ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გაიმართა აზრთა გაცვლა ურთიერთსაინტერესო საკითხებზე. ორივე მხარემ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა კავშირ-ვიეტნამის ყოველმხრივ თანამშრომლობას მეგობრობისა და ძმური სოლიდარობის ურთიერთობის შემდგომი განმტკიცების საქმეში. (საკრესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსაგან

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ილუსტრებიან, რომ 1977 წლის 5 ივნისს 65 წლისა გარდაიცვალა საბჭოთა კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი

ივანე ფაუსტის ძე სარიშვილი

და ამამაძარს უცხალებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის კომუნიკე

სსრ კავშირში ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტის შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მოწვევით 1977 წლის 30 მაისიდან 5 ივნისამდე საბჭოთა კავშირში ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფებოდა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია, რომელსაც სათავეში ედგა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი.

ბულგარეთის დელეგაცია იყო მოსკოვში, ალმა-ათაში, ულიანოვსკში, მრავალი შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა კავშირის მშრომელებთან, გაეცნო საბჭოთა ხალხის მიღწევებს კომუნისტურ მშენებლობაში. პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას.

ვიზიტის დროს გაიმართა მოლაპარაკება, რომელმაც ბულგარეთისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში ჩაიარა. მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ:

საბჭოთა კავშირის მხრივ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი კ. ვ. რუსაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. კ. ბაიბაკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ვ. ნ. ბაზოვსკი;

ბულგარეთის მხრივ — ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ტანჩევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ფილიპოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. მლადენოვი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს წევრი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის დეპარტამენტის გამგე დ. სტანიშევი, ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში დ. ჟიულევი.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციებმა ერთმანეთს გაუაზრეს ინფორმაცია ორივე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სკკპ XXV ყრილობის და ბულგარეთის კომპარტიის XI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შეაფასეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ყოველმხრივი თანამშრომლობის შედეგები, დასახეს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მისი შემდგომი გაღრმავებისა და გაფართოებისა და ყოველმხრივი ღონისძიებანი. მოლაპარაკებაზე გადახდილს აგრეთვე საერთაშორისო მდგომარეობისა და მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის აქტუალური საკითხები.

სსრ კავშირში ბულგარეთის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ვიზიტი, გამართული მოლაპარაკება, სტუმართმოყვარეობა და გულითადობა, რითაც ყველგან საბჭოთა მაწყალი ხედებოდნენ მოძმე ბულგარელი ხალხის წარმომადგენლებს, გადაიქცა საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ურღვევი მეგობრობის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ერთიანობისა და სოლიდარობის, მარქსიზმ-ლენინიზმის და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული და მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულებით გაფორმებული საბჭოთა-ბულგარეთის კავშირის ურყევობისა და ისტორიული მნიშვნელობის ნათელ დემონსტრაციად.

I.

საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა დიდი კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის მიმდინარეობისა და შედეგების გამო, რომელიც საბჭოთა და ბულგარელი ხალხების აღმშენებლობითი საქმიანობის განუყოფელი შემადგენელი ელემენტი, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი გახდა.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის განუხრელ განვითარებაში განსაზღვრელ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის ხელმძღვანელთა რეგულარული შეხვედრები, ორი პარტიის ცენტრალური კომიტეტების მუდმივი ურთიერთობა, დელეგაციების გაცვლა, რაც მრავალმხრივი პარტიათშორისი თანამშრომლობის გეგმად საფუძველზე ხორციელდება. ვრცელი ხასიათი მიეცა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, ორი ქვეყნის პარლამენტებისა და მთავრობების საქმიან კონტაქტებს. მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სამინისტროების პირდაპირი კავშირურთიერთობა, გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომლებსაც ისინი ერთად ამუშავებენ. მეზობლობით მშრომელის ჩაბმას საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ძმური ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავების საქმეში ხელს უწყობს დამობილებული ოლქქების, ოკრუგებისა და ქალაქების წარმომადგენელთა რეგულარული ურთიერთობა, შრომითი კოლექტივების უშუალო კონტაქტები. ორმა და მრავალმხრივი გახდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პროფკავშირული, ქალთა, ახალგაზრდული და სხვა ორგანიზაციების, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოებისა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტის თანამშრომლობა. საბჭოთა მაპარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ სასარგებლოდ გაფართოდა უკანასკნელ ხანს ურთიერთობა ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირთან — ბულგარეთის კომპარტიის ერთგულ თანამოსაგრესთან განვითარებული სოციალისტური საზოგადოებრივი მშენებლობაში.

სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციებმა აღნიშნეს, რომ სწორად იზრდება ეკონომიკური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. ეფექტიანი ხასიათი ეტვინა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს, ორი ქვეყნის პარლამენტებისა და მთავრობების საქმიან კონტაქტებს. მტკიცედ დამკვიდრდა პრაქტიკაში საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის სამინისტროების პირდაპირი კავშირურთიერთობა, გაფართოვდა იმ საკითხთა წრე, რომლებსაც ისინი ერთად ამუშავებენ. მეზობლობით მშრომელის ჩაბმას საბჭოთა და ბულგარელი ხალხების ძმური ურთიერთობის განმტკიცება-გაღრმავების საქმეში ხელს უწყობს დამობილებული ოლქების, ოკრუგებისა და ქალაქების წარმომადგენელთა რეგულარული ურთიერთობა, შრომითი კოლექტივების უშუალო კონტაქტები. ორმა და მრავალმხრივი გახდა საზოგადოებრივი ორგანიზაციების — პროფკავშირული, ქალთა, ახალგაზრდული და სხვა ორგანიზაციების, კერძოდ, საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის მეგობრობის საზოგადოებისა და ბულგარეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის სრულიად სახალხო კომიტეტის თანამშრომლობა. საბჭოთა მაპარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რაოდენ სასარგებლოდ გაფართოდა უკანასკნელ ხანს ურთიერთობა ბულგარეთის მიწათმოქმედთა სახალხო კავშირთან — ბულგარეთის კომპარტიის ერთგულ თანამოსაგრესთან განვითარებული სოციალისტური საზოგადოებრივი მშენებლობაში.

სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციებმა ადასტურეს, რომ პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოებასთან ერთად არსებობად გამდიდრდა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის იდეოლოგიური და კულტურული თანამშრომლობა. ამის გამოხატულება ორი ქვეყნის მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მეცნიერების, კულტურის, უმაღლესი და სახალხო განათლების ორგანოების მჭიდრო საქმიანი კონტაქტების აწყობილი სისტემა, ფუფდამენტური და გამოყენებითი მეცნიერებების დარგის ერთობლივი კვლევის პრობლემატიკის გაფართოება, საბჭოთა კავშირისა და ბულგარეთის მომმე ხალხების უფაართოესი სულიერი ურთიერთობა.

საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის თანამშრომლობის ყოველმხრივი განვითარება და გაღრმავება ხელს უწყობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის კომპარტიის პრინციპული კურსის წარმატებით ხორციშესმას, რომლის მიზანია სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა ხალხისა და ბულგარელი ხალხის შემდგომი დაახლოება. თანდათანობით დაახლოების პროცესი, რომელიც მომმე სოციალისტურ სახელმწიფოთა ურთიერთობის კანონზომიერებად გვევლინება, მიმდინარეობს საუკეთესო სუვერენიტეტისა და ეროვნული ეკონომიკური კომპლექსების სრული დამოუკიდებლობის შენარჩუნების პირობებში, ხელს უწყობს სოციალიზმის ქვეყნების ნაციონალური და ინტერნაციონალური ამოცანების უკეთ გადაწყვეტას და მთლიანად შეესაბამება მათი ხალხების ცხოვრების ინტერესებს.

II.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და ბულგარეთის კომპარტია, სსრ კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა, რომლებსაც ყოველმხრივი თანამშრომლობა და შეჯერება დაახლოებულ სოციალისტურ ინტერნაციონალურ მშენებლობის ერთ-ერთ ძირითადი ფაქტორად მიაჩნიათ, განახორციელებენ ზეთანხმებულ ღონისძიებებს ყველა დარგში ურთიერთობის ეფექტიანობის ასამაღლებლად. გაგრძელდება რეგულარული შეხვედრები უმაღლეს დონეზე, დელეგაციების ფართო გაცვლა ცენტრალურ კომიტეტებს, ადგილობრივ პარტიულ ორგანოებს შორის, თანამშრომლობა ორგანიზაციულ-პარტიული და იდეოლოგიური მუშაობის დარგში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და ბულგარეთის კომპარტიას საპირფოდ მიაჩნიათ უპირველესი ყურადღება დაეთმოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, იმ მოვლენის მე-60 წლისთავის დირსეულ შეხვედრას, რომელიც დასაბამი მიეცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. საბჭოთა მაპარემ მაღლიერებით აღნიშნა ბულგარელ მშრომელთა აქტიური მონაწილეობა საიუბილეო სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებაში. ბულგარეთის ხელმძღვანელობა დაეთანხმა, რომ საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობა ეცნობა უნდა გადაწყვეტილებებს [illegible] ყველა სახელმწიფოს [illegible] ინტერესების შესაბამისად და მხარეების უმაშროების უფლებლობის პრინციპის დაცვის პირობებში.

ევროპაში შექმნილი ვითარების განხილვისას მხარეებმა აღნიშნეს, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირს სახელოო აქტის ყველა პრინციპისა და დებულების სრული მოცულობით განხორციელებას. მათ განაცხადეს, რომ გადაჭრით უარყოფენ გარკვეული წრეების ცდებს, რომლებიც სოციალისტური სახელმწიფოების სამშინაო საქმეებში ერევიან და ამით არღვევენ საბოლოო აქტის დებულებებს. ერთსულოვნად აღინიშნა, რომ სრულიად ევროპის თათბირის მონაწილე სახელმწიფოების წარმომადგენლთა მომავალი ბელგრადის შეხვედრა, რომელსაც საკონსულტაციო ხასიათი ექნება, უშნაირეს ყოვლისა მიზნად უნდა ისახავდეს საიმედო მომავლის უზრუნველყოფას. გამსჭვალული იყოს ევროპის მშვიდობის, უშიშროებისა და თანამშრომლობისათვის ზრუნვით. სსრ კავშირი და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა ხელს შეუწყობენ იმას, რომ ამ შეხვედრამ განაზოგადოს თათბირის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმის დადებითი გამოცდილება და შეიმუშაოს რეკომენდაციები შემდგომი თანამშრომლობის საკითხებზე, რომელთა საფუძველი იქნება საბოლოო აქტი — მისი ხელმომწერი ყველა სახელმწიფოს მოქმედების ხანგრძლივი პროგრამა. რომელიც მოწოდებულია ხელს უწყობდეს მშვიდობისა და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის დამკვიდრებას ევროპის კონტინენტზე, დაძაბულობის შენელების შემდგომ პროცესს ევროპაში.

[illegible] ბულგარეთის [illegible] ეროვნული [illegible] ევროპაში [illegible] ეროვნული [illegible] ევროპაში [illegible] ეროვნული [illegible] ევროპაში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის

ლ. ი. ბრეჟნევის პასუხები

გაზეთ „ასაჰის“ მთავარი რედაქტორის ს. ჰატას კითხვებზე

(დასასრული)

გამოცდა და, საბოლოო ანგარიშით, ბოლო მოეღოს არა მარტო ვამალებულ ატომურ შეიარაღებას, არამედ თვით ატომურ იარაღსაც. სწორედ ამისათვის იღვწის საბჭოთა კავშირი. ჩვენი ქვეყანა განუზრახელად მოითხოვს ატომური იარაღის სრულ აკრძალვას — მოითხოვს იმ მომენტიდან, რაც იგი გაჩნდა ამ ქვეყნად. როგორც ცნობილია, 1972 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ საბჭოთა კავშირის ინიციატივით მიიღო გადაწყვეტილება საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობისა და ერთდროულად ატომური იარაღის გამოყენების სამუდამო აკრძალვის შესახებ. ცნობილია ისიც, რომ ახლა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განიხილავს საერთაშორისო ურთიერთობაში ძალის გამოუყენებლობის შესახებ მსოფლიო ხელშეკრულების პროექტს, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეიტანა და რომელშიც გათვალისწინებულია, რომ სახელმწიფოებმა უარი თქვან ყოველგვარი იარაღის, მათ შორის ატომური იარაღის გამოყენებაზე. სამწუხაროდ, ზოგიერთი სახელმწიფოს უარყოფითი დამოკიდებულების გამო, საქმე ძნელად მიიწევს წინ. სრულიად გარკვევით ვიტყვი: საბჭოთა კავშირი მზად არის ნებისმიერ დროს მიუჯდეს მოლაპარაკების მაგიდას ყველა სხვა ატომურ სახელმწიფოსთან ერთად, რათა ერთობლივად შეეიმუშაოთ ატომური განიარაღების პრობლემის გადაწყვეტის კონკრეტული გზები.

აი უკვე რამდენიმე წელია საბჭოთა კავშირს შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკება აქვს სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ. ჩვენი აზრით, სერიოზული შედეგებია მიღწეული. მოლაპარაკება ახლაც გრძელდება. ამას საფუძვლად უდევს ელადვიოსტოკის ცნობილი მორიგება. ჩვენ ვცდილობთ რაც შეიძლება მალე და შედეგიანად დავამთავროთ მოლაპარაკება. ეს შესაძლებელი იქნება, თუ, რა თქმა უნდა, ჩვენი პარტნიორები თავისთვის ცალმხრივ უპირატესობათა მიღებას არ ეცდებიან. ჩვენ ხელს ვერ მოვაწერთ ისეთ შეთანხმებას, რომელიც ზიანს მიაყენებს საბჭოთა კავშირისა და ჩვენი მოკავშირეების უშიშროებას.

კითხვა: როგორ აზრის სიტუაციას უფიქრდები, გასაგები ხდება, რომ სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკას დიდი მნიშვნელობა აქვს. რა აზრისა ხართ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან ურთიერთობის, კორეის ნახევარკუნძულზე მდგომარეობის განვითარების პერსპექტივების, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების, მათ შორის ვიეტნამის პოლიტიკის თაობაზე?

პასუხი: ჩვენი ქვეყანა ისტორიულად, ეკონომიკურად და გეოგრაფიულად ძალზე ფრთხილდებრივად განუყოფელად არის დაკავშირებული აზიის კონტინენტთან. და, ბუნებრივია, ჩვენ სერიოზულ ინტერესს ვიჩენთ დედამიწის ამ რაიონში მშვიდობის გაბმტკიცებისადმი. ჩვენი აზრით, დაძაბულობის შენელებამ, რომელიც მსოფლიო განვითარებაში გაბატონებულ ტენდენციად იქცა, ვერ ვერ ან უნდა აუაროს აზიის კონტინენტს, საღაც კაცობრიობის ნახევარზე მეტი ცხოვრობს.

ვიეტნამელი ხალხის ისტორიული გამარჯვებისა და დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს — ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის შემდეგ, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში კონფლიქტის მოწესრიგებისა და ინდოჩინეთიდან ამერიკის ჯარების გაყვანის შემდეგ საერთოდ, ჩვენი აზრით, უფრო ხელსაყრელი წინამძღვრები შეიქმნა აზიის ყველა სახელმწიფოს საერთო ღონისძიებებით ამ კონტინენტზე მტკიცე მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველსაყოფად. საბჭოთა კავშირი აზიაში მოვლენათა სწორედ ამგვარი განვითარების მომხრეა.

რაც შეეხება საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობას, ჩვენი პოზიცია ამ საკითხში კარგად არის ცნობილი. ჩვენ ჩინეთთან სახელმწიფო ურთიერთობის ნორმალიზაციის მომხრენი ვართ. ჩვენს ქვეყნებს შორის ნამდვილი კეთილმეზობლობის აღდგენას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა არა მარტო სსრ კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისათვის, არამედ მთლიანად საერთაშორისო ვითარების გაუმჯობესებისთვისაც.

თუ დღემდე საბჭოთა კავშირ-ჩინეთის ურთიერთობაში გაუმჯობესება არ იგრძნობა, ეს მეორე მხარის ბრალია. ჩინეთის ახალი ხელმძღვანელობა, სამწუხაროდ, ძველ, ზე ვიტყოდი, გატკეპნილ გზას აღგას. ხომ ფაქტია, რომ ფრძელდებ...ადაბულობის შენელების პოლიტიკაზე თავდასხმების კამპანია, დაბრკოლებებს უქმნიან განიარაღების დარგში ყოველგვარ ღონისძიებებს. ან ავიღოთ თუნდაც „ჰეგემონიასთან“ ბრძოლის თეზისი. შესაძლოა, ზოგ-ზოგები სიშიშს ვერაფერს ხედავდნენ ამაში. მაგრამ განა ამ თეზისით შენიღბული არა ცდილობენ შეღწევა ჩამოაგდონ სახელმწიფოთა შორის, ან არ დაუშვან მაინც მათი ურთიერთობის გაუმჯობესება. რის გულისთვის კეთდება ყოველივე ეს? ხომ არ იმალება აქ მიზნები, რომლებიც ეწინააღმდეგება მშვიდობისა და თანამშრომლობის ინტერესებს? ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამის თაობაზე სრულიად გარკვეული აზრი გვაქვს და იაპონიაში ეს იციან.

კორეის ნახევარკუნძულზე მდგომარეობის შესახებ. ჩვენ მხარს ეუჭერთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინადადებას, რომ სამხრეთ კორეიდან გაიყვანონ უცხოელთა მთელი ჯარები და ხელსაყრელი პირობები შეუქმნან მშვიდობიან დემოკრატიულ საწყისებზე და გარედან ჩაურევლად ქვეყნის გაერთიანებას. ეს მართლ ჩვენი პოზიცია არ გახლავთ. თუ გავითვალისწინებთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაში მიღებულ რეზოლუციას იმის შესახებ, რომ ხელსაყრელი პირობები შეექმნას კორეაში მიღწეული დაბავების გადაქცევას ტრიკეტ მშვიდობად და დაჩქარდეს კორეის მშვიდობიანი გაერთიანება, ამ აზრს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა იზიარებს.

კითხვა: რა თვალსაზრისს ადგახართ ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის, აზიისა და აფრიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საკითხების, „სამხრეთ-ჩრდილოეთის“ პრობლემის მიმართ?

პასუხი: მრავალი წლის მანძილზე ახლო აღმოსავლეთის კრიზისი, რომელიც ხან იფეთქებს, ხან ქრება, საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი წყაროა. ამ კრიზისის მშვიდობიანი მოწესრიგების ალტერნატივა ახლა ეჭვი არავის აღარ ეპარება. ჩვენი აზრით, ახლა საქმე ის არის, რომ უზრუნველვყოთ, თანაც გაუქიანურებლად, ახლო აღმოსავლეთის საკითხზე ჟენევის საზავო კონფერენციის მუშაობის განახლება.

რაც შეეხება ახლო აღმოსავლეთის მოწესრიგების არსს, ჩვენი თვალსაზრისი, მოკლედ, ასეთია: ახლო აღმოსავლეთში ნამდვილად მტკიცე და სამართლიანი მშვიდობა მხოლოდ მაშინ დამყარდება, თუ ისრაელმა გაიყვანა თავისი ჯარები 1967 წელს ოკუპირებული მთელი არაბული ტერიტორიებიდან, თუ პალესტინელი არაბი ხალხების ყველა სახელმწიფოსა და ხალხის, მათ შორის ისრაელისა და პალესტინელი არაბი ხალხების დამოუკიდებელი და უსაფრთხო არსებობის უფლებას, თუ დაკმაყოფილდა პალესტინელი არაბი ხალხის კანონიერი უფლებები, კერძოდ, საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

თავის მხრივ, საბჭოთა კავშირი მზად არის ყველაფერი იღონოს ასეთი მშვიდობის მოსაახლოებლად.

ახლა თქვენი კითხვის მეორე ნაწილზე. მთელი მსოფლიო ხედავს, რომ აზიასა და აფრიკაში სულ უფრო ძლიერდება კოლონიური მემკვიდრეობის, ეროვნული ჩაგრისა და უთანასწორობის ნაშთების, არსებითად ექსპლოატატორული ურთიერთობის მსხვრევის ღრმა პროცესი. ეს ძირეული გარდაქმნები უთუოდ კვლავაც გაგრძელდება. რატომ ვამბობ ამას ასეთი რწმენით? იმიტომ, რომ მათ საფუძვლად უდევს ხალხთა დაუოკებელი მისწრაფება დამოუკიდებელი განვითარებისადმი, ეროვნული და სოციალური პროგრესისადმი. კარგად არის ცნობილი, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ უჭერდა და კვლავაც დაუჭერს მხარს ამ კანონიერ მისწრაფებებს.

თქვენ იხმარეთ ტერმინი „სამხრეთ-ჩრდილოეთი“. როგორც ჩანს, ეს გულისხმობს ეკვატორის ორივე მხარეს მდებარე განვითარებადი ქვეყნების ურთიერთობას განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან.

ამ საკითხში ჩვენი პოზიცია მკაფიოა. საბჭოთა კავშირი მზარს უჭერს განვითარებადი ქვეყნების მოთხოვნას, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა სამართლიან და დემოკრატიულ საფუძველზე გარდაიქმნას. ეს, უეჭნარეს ყოველისა, ნიშნავს, რომ კოლონიალიზმის ლიკვიდაციის პროცესი ეკონომიკის სფეროშიც უნდა გაერცელდეს, ბოლო უნდა მიეღოს მრავალეროვანი იმპერიალისტური მონოპოლიების მხრივ ჩაგვრას, განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების მიერ განვითარებადი სახელმწიფოების ბუნებისა და ადამიანთა რესურსების ექსპლოატაციას.

კითხვა: საბჭოთა კავშირში ყოფილი პრემიერ-მინისტრის ტანაკას ვიზიტის დროს აღიარებულ იქნა, რომ ჩრდილოეთის ტერიტორიების პრობლემა იაპონიისა და სსრ კავშირს შორის „გადაუწყვეტელი“ პრობლემაა. ამ საკითხში საბჭოთა კავშირის პოზიცია, რომელსაც ამ ბოლო ხანს დაადგა, ალნიშნული მორიგებიდან გადახვევას ხომ არ ნიშნავს?

პასუხი: ჩვენ კარგად გვახსოვს იაპონელ ხელმძღვანელებთან მიღწეული მოლაპარაკება. ჩვენი აზრით, ეს იყო სასარგებლო მოლაპარაკება, რომლის დროს განვიხილეთ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის ბევრი საკითხი, მათ შორის სსრ კავშირისა და იაპონიის საზავო ხელშეკრულების საკითხიც. როგორც გახსოვთ, საბჭოთა კავშირ-იაპონიის 1973 წლის 10 ოქტომბრის ერთობლივ განცხადებაში ფიქსირებულია მორიგება განვაგრძოთ მოლაპარაკება საზავო ხელშეკრულების დასადებად. საბჭოთა კავშირი მზად არის, თუ, რა თქმა უნდა, იაპონიის მხარეს არ წამოაყენა აშკარად მიუღებელი პირობები, ბოლომდე მიიყვანოს ჩვენი ქვეყნებისათვის ეს დიდნაშვილოვანი საქმე. თუ იაპონიის მხარე საღად მიუდგება მეორე მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ რეალობებს, ამის გაკეთება შესაძლებელია, თანაც — სწრაფად.

ცნობილია, რომ საზავო ხელშეკრულებანი, როგორც წესი, მოიცავს საკითხთა ფართო კომპლექსს, მათ შორის სასაზღვრო ხაზის საკითხებს. ეს ეხება საბჭოთა კავშირ-იაპონიის საზავო ხელშეკრულებასაც. ხოლო ამის თქმა, რომ ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში რაღაც „გადაუჭრელი ტერიტორიული პრობლემა“ იყოს — ცალმხრივი და მცდარი განმარტებაა.

ჩვენი პოზიცია არაერთგზის ჩამოგვიყალიბებია იაპონელ ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებებისას და იგი კარგად არის ცნობილი.

თუ სწორად გვესმის, იაპონია ჯერ არ არის ზზაე საზავო ხელშეკრულების დასადებად. ჩვენ მხედველობაში მივიღეთ ეს და გამოვიქვთ წინადადება, რომ საზავო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების შეუწყვეტლივ გაეუზიაროთ ერთმანეთს აზრი და ხელი მოვაწეროთ კეთილმეზობლობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულებს, რომელიც ჩვენი ურთიერთობის იმ დარგებს მოიცავს, რომლებიც უკვე მომწიფდა საიმისოდ, რომ მტკიცე სახელშეკრულებო საფუძველზე დაემყაროთ. ჩვენ გვწამს, რომ ამის შედეგად მოხდებოდა მკვეთრი შემობრუნება — დაძაბულობის ნაშთებს ნელ-ნელ ალ...ილმეზობლობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა ...ურ ...ურ ...ურ

საკლესიო გაანცხადება

უკანასკნელ ხანს სხვადასხვა წყაროდან მოდის ცნობები, რომ მზადდება შეიარაღებული თავდასხმა ეთიოპიაზე. ამ ცნობების თანახმად, ქვეყნის დასავლეთ საზღვართან თავს იყრიან რეგულარული ჯარების კონტინგენტებს, საზღვრის დარღვევით ეთიოპიის ტერიტორიაზე გზავნიან შეიარაღებულ ჯგუფებს, მხარდაჭერას უჭერენ კონტრრევოლუციურ და სეპარატისტულ ელემენტებს, რომლებიც ეთიოპიის შიგნით მოქმედებენ. საქმე აშკარად იქით მიჰყავთ, რომ პროვოკაციულად გამოიწვიონ საომარი კონფლიქტი ეთიოპიასთან და ლახვარი ჩასცენ ამ ქვეყნის პროგრესულ რეჟიმს. მთელ ამ საქმიანობაში, როგორც ეტყობა, აქტიურად მონაწილეობენ სუდანის ხელისუფალნი, აგრეთვე იმპერიალისტური და სხვა რეაქციული ძალები.

მოვლენათა ამგვარი განვითარება საშიშ სიტუაციას ქმნის აფრიკის კონტინენტის ამ ნაწილში. იქმნება დაძაბულობის ახალი კერა, რომელიც მშვიდობისა და უშიშროებისათვის საფრთხის შეიცავს. იმათ, ვინც ახლა ეთიოპიის წინააღმდეგ ახალ ავანტიურას ამზადებს, მხოლოდ ის უნდათ, რომ როგორმე წაჰკიდონ აფრიკელი სახელმწიფოები ერთმანეთს, ძირი გამოუთხარონ ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის მათს ღონისძიებებს, დააბრკოლონ ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა რასისტული რეჟიმების წინააღმდეგ. მათი მიზანია აგრეთვე არაბი ხალხების ყურადღება ჩამოაშორონ მათთვის ყველაზე საარსებო ამოცანას — ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის მოწესრიგებას.

საბჭოთა კავშირი, რომელიც ეთიოპიასთან თავის ურთიერთობას აგებს საბჭოთა კავშირ-ეთიოპიის მეგობრობისა და თანამშრომლობის საფუძვლების დეკლარაციის შესაბამისად, ყურადღებით ადევნებს თვალს, თუ როგორ ვითარდება მდგომარეობა ეთიოპიის ირგვლივ.

საკდესს დავალებული აქვს განაცხადოს, რომ საბჭოთა კავშირი გადაჭრით გმობს იმ წრეების მოქმედებას, რომლებიც ემზადებიან განახორციელონ აგრესია ეთიოპიის წინააღმდეგ, აგრეთვე იმათ, ვინც აქეზებს ამ საშიშ კურსს. ეს ქმედებანი თამაშია, და იმათ, ვინც ასე იქცევა, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ხალხთა წინაშე.

საკლესიო

მსოფლიოს ამბები

სტუმრად მეგობრებთან

ფხენიანი, 6 ივნისი. (საკდესი). გულთბილად ხვდებიან სახალხო კორეაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციას, რომელიც აქ ოფიციალური მეგობრული ვიზიტით იმყოფება.

დელეგაციას, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. გ. ჭილაშვილი, ეწვია მეტალურგიული ქარხანა „ხვანხეს" — ერთ-ერთ უდიდეს ქარხანას ქვეყანაში. მის პატივსაცემად იქ გამართეს მიტინგი.

ჩვენ მხურვალედ მივესალმებით მოძმე და მეგობარი საბჭოთა ხალხის წარმოგზავნილებს, თქვა მიტინგზე გამოსვლისას ქარხნის დირექტორმა ლი ბან ჯინმა. მან ხაზი გაუსვა, რომ ორი ქვეყნის მშრომელთა მეგობრობა და თანამშრომლობა დღითი დღე მტკიცდება და ვითარდება, რომ კორეელი ხალხი დიდად აფასებს საბჭოთა ხალხთან მეგობრობას.

ჩვენ დიდ მადლობას ვუძღვნით საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, სსრ კავშირის მთავრობასა და საბჭოთა ხალხს ჩვენი სამშობლოს ერთიანების საქმის აქტიური მხარდაჭერისთვის, გამოვიქვამთ მტკიცე რწმენას, რომ ორი ქვეყნის — კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც განმტკიცდება და განვითარდება იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის საქმის გამარჯვებისათვის საერთო ბრძოლაში, განაცხადა ლი ბან ჯინმა. სვანხეს მეტალურგების სახელით მან ხელი მოაწერა ფიცარ-ბანერზე, რომელიც ოქტომბრის მე-50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის, სკკპ XXV ყრილობის მიერ დასახული ამოცანების ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა პ. გ. ჭილაშვილმა მიტინგზე განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი დღენიადაგ ხედავს უჭერს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ღონისძიებებს, რომელთა მიზანია ქვეყნის დამოუკიდებელი, მშვიდობიანი გაერთიანება.

ქარხანაში საბჭოთა დელეგაციას ახლდა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის უმაღლესი სახალხო კრების მუდმივი საბჭოს თავმჯდომარე ხვან ჩაან ობი.

ფხენიანში გაიმართა საპარლამენტო დელეგაციების მოლაპარაკება, რომლის მსვლელობაში მხარეებმა ამხანაგურ და მეგობრულ ვითარებაში გააანალიზეს ერთმანეთს თავიანთი ქვეყნების წარმატებები, გაუზიარეს აზრი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესახებ, ორივე მხარისათვის საინტერესო, აგრეთვე სხვა საკითხებზე.

რასისტთა ახალი აგრესია

ლუსაკა. (საკდესი). **როდეზიის რასისტულმა რეჟიმმა ახალ შეიარაღებულ პროვოკაციას მიმართა ბოტსვანის რესპუბლიკის წინააღმდეგ.** 2 ივნისს ღამით მისი ჯარები აფრიკის ამ სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიაზე შეიჭრნენ და იერიში მიიტანეს სოფელ ჯაზუნგულაზე, რომელიც ბოტსვანის, ზამბიის, ნამიბიისა და როდეზიის საზღვრების შესაყარზე მდებარეობს. შეჭრის დროს როდეზიის არტილერია ეცხლს უშენდა ბოტსვანის ტერიტორიას. ეს ბოტსვანის დიდაქალაქ გაბორონში გამოაცხადა პრეზიდენტ სერეტსე ეხამას კანცელარიამ.

კანცელარიის მიერ გავრცელებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ბოტსვანის არმიის ქვეგანყოფილებებმა ნაკლები პასუხი გასცეს და გააქციეს რასისტები.

ბოტსვანაში რასისტული ჯარების შეიარაღებული შეჭრა ახალი რგოლია ბოტსვანის, ზამბიისა და მოზამბიკის წინააღმდეგ როდეზიის წინასწარ დაგეგმილი აგრესიული აქტების ჯაჭვში. ასეთმა მოქმედებამ, რომელიც სულ უფრო მეტ საფრთხეს უქმნის აფრიკის ამ სამშვ რაიონში მშვიდობასა და უშიშროებას, მისი ორგანიზატორების აზრით, უნდა დაამინოს აფრიკის ეს დამოუკიდებელი სახელმწიფოები და უარი ათქმევინოს ზიმბაბველი ხალხის მხარდაჭერაზე, რომელიც იბრძვის სრულიელი რასისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ნამდვილი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

ეროვნული ფილატელია

ძეგლი ავიგე...

დღეს თბილისში იხსნება ა. ს. პუშკინის შემოქმედებისადმი მიძღვნილი საკავშირო სამეცნიერო კონფერენცია

სურათზე: თბილისში ა. ს. პუშკინის დღეებისადმი მიძღვნილი საკავშირო კონფერენციის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): თევდორე პრი